



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 47  
30/07/2019

47-09-4-201907301734



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41  
განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი  
ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის  
დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე  
მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში  
არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების  
გეგმის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30  
ივლისის №41 განკარგულებაში

1. განკარგულებით დამტკიცებული დანართი „საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი  
უძრავი ქონების ნუსხა და პრივატიზების გეგმა“ ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ  
სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით  
აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო






საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი უძრავი ქონების ნუსხა და პრივატიზების გეგმა

N	ქონების დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა	გადახდის პერიოდი
1	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. კონდოლი	53.05.32.261	12192 კვ.მ.	9800	უპირობო	15 დღე
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (წყლის ავზი)	სოფ. იყალთო	53.12.36.151	151 კვ.მ.	4200	<p><b>პირობიანი:</b></p> <p>ა) მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწის ნაკვეთზე არსებული სასმელი წყლის სამარაგე ავზის მოვლა-პატრონობა; ბ) უზრუნველყოს სასმელი წყლის მიწოდება სოფელ იყალთოს საბავშვო ბაღისთვის</p>	15 დღე

3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. თელავი, არჩილ II-ის ქუჩა	53.20.31.025	5158 კვ.მ.	99000	<p><b>პირობიანი:</b></p> <p>ა) მყიდველი ვალდებულია შექმნილ უძრავ ქონებაზე ააშენოს კომერციული დანიშნულების ობიექტი;</p> <p>ბ) შექმნილი ფართობის მინიმუმ 15%-ზე უზრუნველყოს მწვანე ზოლის მოწყობა, ხოლო დანარჩენ ფართობზე, საჭიროებიდან გამომდინარე, საპარკინგე ადგილების გამოყოფა;</p> <p>გ) მშენებლობის პროექტი წარმოადგინოს საკუთრების მოწმობის გაცემიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში</p>	15 დღე
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა	53.20.40.545	213 კვ.მ.	7250	<p><b>პირობიანი:</b></p> <p>მყიდველი ვალდებულია მიწის ნაკვეთი გამოიყენოს არაკომერციული დანიშნულებით</p>	15 დღე

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო